MES 3 23 0000987081

11/08/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 28.07.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2] მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
6. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;

7. **ქეთევან ზურაშვილი** - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
8. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ -თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
9. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი
10. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **ლევან ნიკოლეიშვილი**- სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
12. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
13. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
14. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
15. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
16. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
17. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
18. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	თეა კორძაძე		აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2.	მამული ბუჭუხიშვილი		პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი	I

		სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი		
3.	ვლადიმერ ადეიშვილი		პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
4.	იაგორ ბალანჩივაძე		საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "სკოლამდელი განათლების" ხელმძღვანელი	I
5	დავით მახვილაძე	**სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი**	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
6	ხათუნა მხეიძე		სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე.	II
7	ნიკოლოზ შავიშვილი,		სტუ-ის დიზაინის საერთაშორისო სკოლის დეკანი.	II
8	მალხაზ რაზმაძე		სტუ-ის დიზაინის საერთაშორისო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	II
9	გოჩა მიქიაშვილი		„არქიტექტურის“ ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II
10	ნინო ალავიძე	**შპს ალტე უნივერსიტეტი**	ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის დირექტორი	III

11	ირმა ნოზაძე		საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის სამსახურის უფროსი	III
12	ნათია ნასრაშვილი		ბიზნესის ადმინისტრირების სკოლის დეკანი	III
13	კობა არაბული		ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელი	III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
	მილან პოლი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
1	ხათუნა დოლიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ქეთევან თოდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნინო ჯავახიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	გიორგი წანაწყენიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	გიგა ხოსიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "არქიტექტურის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს - ალტე უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "არქიტექტურის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს - ალტე უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი : სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სკოლამდელი განათლება Preschool Education
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სკოლამდელი განათლების ბაკალავრი Bachelor of Preschool Education
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
		სკოლამდელი განათლების

11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მასწავლებლის მომზადება 0112 Training for Preschool Teachers 0112
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქ., №59; ქალაქი ქუთაისი, სასწავლო კორპუსი №2, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, მილან პოლმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი 2023 წლის 6 ივნისს განხორციელდა. ადგილზე ვიზიტამდე, აკრედიტაციის ჯგუფსა და ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს შორის პროგრამის თაობაზე და ასევე, ერთობლივი მუშაობის პროცესის შესახებ, რამდენჯერმე შედგა კომუნიკაცია. საკოორდინაციო შეხვედრა სწორედ ადგილზე ვიზიტის წინა დღეს მოეწყო. ადგილზე ვიზიტის დროს, ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა ჩაეტარებინა გასაუბრებები რექტორთან და მის გუნდთან, ჯგუფთან, რომელმაც მოამზადა თვითშეფასების ანგარიში (SER), პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და ხარისხის უზრუნველყოფის (QA) წარმომადგენლებთან. ასევე, ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა ენახა პროგრამის განსახორციელებლად მომზადებული შენობა. ამ ყველაფერმა, მათ პროგრამის შეფასების საშუალება მისცა. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა ექსპერტთა მიერ პოზიტიურად არის შეფასებული.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. დარწმუნდით, რომ პროგრამა ნათლად ასახავს სკოლამდელი განათლების საერთაშორისო გამოცდილებას და შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებსა და პერსონალს, ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა შესაძლებლობებით (მობილობის ჩათვლით და ა.შ.), მიიღონ შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილება.
2. დარწმუნდით, რომ ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე ინტენსიურად თანამშრომლობს პროგრამის გასაუმჯობესებლად და შემდგომში იმუშავებს პროგრამის სწავლის შედეგებზე.
3. დარწმუნდით, რომ კურსდამთავრებულები ჩართულები იქნებიან პროგრამისა და მისი სწავლის შედეგების შესახებ მონაცემების მიწოდებაში
4. დარწმუნდით, რომ მკაფიოდ არის განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები და მუშაობს სწავლის ყველა შედეგთან შესაბამისად.
5. დარწმუნდით, რომ ძირითადი დაინტერესებული მხარეები საკმარისად კარგად იცნობენ, თუ რა გზით ფასდება სწავლის შედეგები.
6. დარწმუნდით, რომ პროგრამის შინაარსი ეფექტიანად ითვალისწინებს კურსდამთავრებულების საჭიროებებს, იმისთვის რომ, როგორც პროფესიონალებმა, წარმატებით იმუშაონ მრავალენოვან საგანმანათლებლო გარემოში, იყვნენ საკმარისად კომპეტენტურები და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ სამოქმედო კვლევა.
7. შეიცვალოს „ბავშვის განვითარების“ კურსზე დაშვების წინაპირობა - "ზოგადი ფსიქოლოგია", რომელიც არ არის პროგრამის სავალდებულო არჩევითი კურსი
8. დარწმუნდით, რომ შემოთავაზებული პროგრამის ყველა სილაბუსი განამტკიცებს კავშირს მიმდინარე კვლევებთან და სკოლამდელი განათლების საუკეთესო პრაქტიკასთან, ისინი ყველა შემთხვევაში, მკაფიოდ არიან ორიენტირებულები კურსების გარშემო და მათი შეფასების მეთოდები ნათელი და ადეკვატურია. სილაბუსებში „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“, „ინკლუზიური განათლება“, „ოჯახისა და საზოგადოების თანამშრომლობა, პოზიტიური აღზრდა“ შეიტანეთ საჭირო ცვლილებები და შესაბამისად გადახედეთ დანარჩენ სილაბუსებს.
9. დარწმუნდით, რომ პრაქტიკის კომპონენტი სტუდენტების ჩართულობისა და მონაწილეობის გაზრდის ეფექტიანი საშუალებაა.
10. დარწმუნდით, რომ ყველა სილაბუსში ნათლად არის მითითებული სავალდებულო და რეკომენდებული ლიტერატურის ჩამონათვალი (და სხვა სასწავლო რესურსები) და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი მოცულობის გათვალისწინებით არის რეალისტური და ხელმისაწვდომი ყველა სტუდენტისთვის.
11. გირჩევთ, რომ აპელაციის პირველი ინსტანცია იყოს ის მასწავლებელი, რომლის შეფასებაც გასაჩივრებულია და თავად მასწავლებლებს მიეცეთ აპელაციის მეშვეობით ქულების შეცვლის შესაძლებლობა.

12. შეიმუშავეთ ყოვლისმომცველი გეგმა, რომელიც ორიენტირებული იქნება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კომპეტენციის გაზრდაზე, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ადრეულ განათლებაზე. ეს გეგმა უნდა მოიცავდეს გარკვეულ სტრატეგიებს, მათ შორის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შეთავაზებას, ვორქშოფების ორგანიზებასა და ტრენინგების ჩატარებას.
13. პროგრამის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია საქმისადმი ენთუზიაზმით აღსავსე პერსონალის დასაქმება, რომელიც სპეციალიზებულია მხოლოდ ადრეულ განათლებაში. გარდა ამისა, სარგებლის მომტანი იქნება იმ დოქტორანტებისა და ახალგაზრდა პროფესიონალების მოწვევა, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან ამ სფეროს და შეუძლიათ წვლილი შეიტანონ მის სრულყოფაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო აქტივობებში, განსაკუთრებით ერასმუს + -ის პროექტებში, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობენ ასევე პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის სამსახურის უფროსი. თუმცა რეკომენდაციის შესაბამისად, პროგრამაზე მომუშავე აკადემიური პერსონალი მეტ შესაძლებლობას მიიღებს საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართვისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა, თუ რა იყო მოცემული პროგრამის შექმნის საფუძველი და რა ღონისძიებების გატარებას აპირებს დაწესებულება სტუდენტების მოზიდვის მიზნით.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ დააზუსტა, თუ რამდენად და რომელი სასწავლო კურსებით ითვალისწინებს პროგრამა ინკლუზიური განათლების პრობლემებს.

საბჭოს წევრმა, თინათინ ჭაბუკიანმა აღნიშნა არჩევითი სასწავლო კურსის ,,მუსიკის დიდაქტიკა"-ის შესახებ, სადაც დაშვების წინაპირობად განსაზღვრული იყო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. თუმცა, მიზნებში და შედეგებში, არის ჩანაწერი, რომ სტუდენტმა ვალდებულია იცოდეს სოლფეჯირება, რაც შეუსაბამოა. გამომდინარე აქედან, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, მარინე ქავთარაძემ აღნიშნა, რომ ინკლუზიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი საშუალება დღეს-დღეობით არის მუსიკის თერაპია, რომლის სწავლებაც სავსებით შესაძლებელია იმ საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, რომელიც დასავლეთში არსებობს ამ მიმართულებით. შესაბამისად, სასურველი იქნებოდა აღნიშნული ყოფილიყო გათვალისწინებული ,,მუსიკის დიდაქტიკის" სასწავლო კურსში. რაც შეეხება ზოგადად ესთეტიკური აღზრდის ფენომენს, კერძოდ ხატვას, ძერწვას, მუსიკით სწავლებას, გამომდინარე აქედან, თუ პროგრამაში ეს ფენომენი არ გაძლიერდა, რთული იქნება სასურველი შედეგის მიღწევა.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ დამატებით იკითხა, რატომ იყო განსაზღვრული ,,შესავალი ფსიქოლოგიაში), როგორც არჩევითი სასწავლო კურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ბაღების გაერთიანებასთან. შესაბამისად, მან ითხოვა დაზუსტება, იძლევა თუ არა აღნიშნული მემორანდუმი ჩაშენებული პრაქტიკის განხორციელების შესაძლებლობას. ამასთან, მან დაამატა, რომ მნიშვნელოვანია, დაზუსტდეს თუ რამდენ სტუდენტს მიიღებს პრაქტიკის ობიექტი პრაქტიკის განსახორციელებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერისტეტი უკვე 90 წელია ამ მიმართულებით ახორციელებს პროგრამებს. მოცემული პროგრამის არსებობა გამომდინარეობს თავად სახელმწიფოს მოთხოვნებიდანაც. გარდა ამისა დაწესებულებამ განახორციელა შრომის ბაზრის კვლევაც და კიდევ ერთხელ დადასტურდა მოთხოვნა ამ მიმართულებით, რადგან სკოლამდელ დაწესებულებებში ფაქტობრივად არ არსებობს კვალიფიციური კადრი. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის შემუშავების დროს ჩატარდა არაერთი ანალიზი და დაწესებულებამ აქტიურად გამოიყენა ასევე საერთაშორისო გამოცდილება.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია ადრეული ინკლუზიური განათლება, თუმცა პროგრამას კიდევ დაემატა ,,მუშაობა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან", რაც გამომდინარეობდა თავად სკოლამდელი დაწესებულებების წარმომადგენლების მოთხოვნიდან და აუცილებლობიდან. მან დაამატა, რომ მოცემული სასწავლო კურსის თეორიული ნაწილი დაფარული იქნება უნივერსიტეტში, ხოლო პრაქტიკული ნაწილი ბაგა-ბაღებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არჩევით საგნებს პროგრამაში არ აქვს წინაპირობები, თუმცა დაწესებულება მიიჩნევს, რომ სტუდენტს, რომელიც მოცემულ საგანს აირჩევს, ექნება გარკვეული მონაცემები, ვინაიდან არჩევითი საგნები გარკვეული ცოდნის გაღრმავებას გულისხმობს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად საგანს ირჩევენ სტუდენტები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სამუსიკო სკოლა. მიუხედავად ამისა, დაწესებულება გადახედავს საკითხს და საჭიროებისამებრ დაამატებს წინაპირობას.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ,,შესავალი ფსიქოლოგიაში" განსაზღვრულია სავალდებულო სასწავლო კურსის სახით, ხოლო ,,სოციალური ფსიქოლოგია" არჩევითი, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ სასწავლო კურსში მოცემულია ისეთი საკითხები, რომლებიც ხანდახან სცდება სკოლამდელ განათლებას, ამდენად, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ შეისწავლონ აღნიშნული.

რაც შეეხება პრაქტიკას, სტუდენტთა რაოდენობა დამოკიდებულია ჯგუფებზე, თუ პრაქტიკის ობიექტი არის 16-18 ჯგუფიანი, მას შეუძლია 32 სტუდენტის მიღება, თუ არის 5-6 ჯგუფიანი, შესაბამისად 10-12 სტუდენტი. აღნიშნული შეთანხმება მემორანდუმში არ არის მოცემული, თუმცა გაერთიანებასთან მოხდა ზეპირი შეთანხმება. აქვე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, საჭიროებიდან გამომდინარე გაფორმდება ხელშეკრულებები მოცემული მემორანდუმის საფუძველზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:43

დასრულების დრო: 15:02

აკრედიტაციის საბჭომ 2.4 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" განისაზღვრა როგორც „სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", თუმცა აღნიშნულ ცვლილებას არ გამოუწვევია მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2025 წლის 01 ივლისამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის

პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2025 წლის 01 ივლისამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამა ნათლად ასახავდეს სკოლამდელი განათლების საერთაშორისო გამოცდილებას და შესაძლებლობას აძლევდეს სტუდენტებსა და პერსონალს, ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა საშუალებებით (მობილობის ჩათვლით და ა.შ.), მიიღონ შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილება.
2. რეკომენდებულია, რომ ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე ინტენსიურად თანამშრომლობდეს პროგრამის სრულყოფის მიზნით და შემდგომში მუშაობდეს პროგრამის სწავლის შედეგებზე.
3. რეკომენდებულია, რომ კურსდამთავრებულები ჩართულები იყვნენ პროგრამისა და მისი სწავლის შედეგების შესახებ მონაცემების მიწოდებაში.
4. რეკომენდებულია, რომ სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები მკაფიოდ იყოს განსაზღვრული და მუშაობდეს სწავლის ყველა შედეგთან მიმართებით.
5. რეკომენდებულია, რომ ძირითადი დაინტერესებული მხარეები საკმარისად იცნობდნენ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდს.
6. რეკომენდებულია, რომ პროგრამის შინაარსი ეფექტიანად ითვალისწინებდეს კურსდამთავრებულების საჭიროებებს, იმ მიზნით, რომ როგორც პროფესიონალებმა წარმატებით იმუშაონ მრავალენოვან საგანმანათლებლო გარემოში, იყვნენ საკმარისად კომპეტენტურები, რათა, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენონ სამოქმედო კვლევა.
7. რეკომენდებულია, შეიცვალოს „ბავშვის განვითარების“ კურსზე დაშვების წინაპირობა - "ზოგადი ფსიქოლოგია", რომელიც არ არის პროგრამის სავალდებულო არჩევითი კურსი.
8. რეკომენდებულია, გაძლიერდეს ინკლუზიური სწავლება პროგრამაში, ინტეგრირდეს “მუსიკის თერაპიასა” და “უნივერსალურ დიზაინთან”.
9. რეკომენდებულია, არჩევით სასწავლო კურსს "მუსიკის დიდაქტიკა"-ს განესაზღვროს წინაპირობა.
10. რეკომენდებულია, რომ შემოთავაზებული პროგრამის ყველა სილაბუსი აძლიერებდეს მიმდინარე კვლევებთან და სკოლამდელი განათლების საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობას, ნებისმიერ შემთხვევაში, ნათლად იყოს ორიენტირებული კურსების თემებზე და მათი შეფასების მეთოდები იყოს ნათელი და ადეკვატური. სილაბუსებში „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“, „ინკლუზიური განათლება“, „ოჯახისა და საზოგადოების თანამშრომლობა, პოზიტიური აღზრდა“ შეტანილ იქნას საჭირო ცვლილებები და შესაბამისად გადაიხედოს სხვა სილაბუსები.
11. რეკომენდებულია, რომ პრაქტიკის კომპონენტი იყოს სტუდენტების ჩართულობისა და მონაწილეობის ეფექტიანი შესაძლებლობა.
12. რეკომენდებულია, რომ ყველა სილაბუსში ნათლად იყოს მითითებული სავალდებულო და რეკომენდებული ლიტერატურის ჩამონათვალი (და სხვა სასწავლო რესურსები) და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი მოცულობის გათვალისწინებით იყოს რეალისტური და ხელმისაწვდომი ყველა სტუდენტისთვის.

13. რეკომენდებულია ყოვლისმომცველი გეგმის შემუშავება, რომელიც ფოკუსირებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის ექსპერტიზის გაზრდაზე, განსაკუთრებული აქცენტით ადრეულ განათლებაზე. ეს გეგმა უნდა მოიცავდეს მთელ რიგ სტრატეგიებს, მათ შორის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფას, სემინარების ორგანიზებასა და ტრენინგების ჩატარებას.
14. პროგრამის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, დაწესებულებას ყავდეს ექსკლუზიურად ადრეულ განათლებაში სპეციალიზებული პერსონალი. გარდა ამისა, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ამ სფეროს ერთგული დოქტორანტებისა და ახალგაზრდა პროფესიონალების მოწვევა, რომლებსაც შეუძლიათ წვლილი შეიტანონ პროგრამის განვითარებაში.

რჩევები:

1. სასურველია, დაწესებულებამ განიხილოს შესაძლებლობები, რათა მკაფიოდ ჩამოაყალიბოთ თანაფარდობა უშუალოდ სწავლებასა და სტუდენტების დამოუკიდებელ მუშაობას შორის.
2. სასურველია, დაწესებულებამ მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თანაფარდობა სტუდენტების ინდივიდუალურ სამუშაოსა და მათ შესაძლებლობებთან, ითანამშრომლონ სხვა სტუდენტებთან.
3. სასურველია, უნივერსიტეტმა საბავშვო ბაღებში მენტორებად შეარჩიოს კვალიფიციური კადრები . ასეთი ადამიანების დეფიციტის შემთხვევაში, სასურველია, პოტენციური მენტორებისთვის ტრენინგების ან ვორქშოპების ორგანიზება და ასევე, პრაქტიკის ადგილებში ძირითადი პერსონალის გადამზადება.
4. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი საკმაოდ დიდია, მაგრამ მისი უდიდესი ნაწილი ე.წ პასიური პრაქტიკა, დაკვირვება და რეფლექსიაა. სასურველია, სტუდენტებისთვის დაიგეგმოს უფრო მეტი პრაქტიკა რეალურ აქტივობებში მონაწილეობით.
5. სასურველია, შეფასების სისტემა მეტად მოქნილი იყოს. მიეცით ლექტორებს მეტი დამოუკიდებლობა კურსების შეფასების მეთოდების არჩევისას.
6. სასურველია აწსუ-მ უფრო ეფექტურად მიაწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია მათთვის ხელმისაწვდომი სერვისებისა და შესაძლებლობების შესახებ, მათ შორის, და არა მხოლოდ, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტური თვითმმართველობის კონსულტაციის საათების შესახებ.

15:05- საბჭოს სხდომას შეუერთდა, თამარ ზარანდია

2. პირველი საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "არქიტექტურის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა Architecture
	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურის ბაკალავრი Bachelor of Architecture
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება 0731 Architecture and town planning 0731
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. N 77, თბილისი, სტუ-ს სასწავლო კორპუსი N 1 და N 8; 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადეს: ქეთევან ქუთათელაძემ, მარინე ქავთარაძემ და თინათინ ჭაბუკიანმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის „არქიტექტურა“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 მაისს. ვიზიტის ფარგლებში, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს (მომიჯნავე პროგრამიდან), კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს. განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შეფასება. ვიზიტი წარიმართა კომფორტულ და კონსტრუქციულ ვითარებაში დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები.

სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "არქიტექტურის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია არსებული კომპიუტერული რესურსის განახლება, მათ შორის, შედარებით დიდი ზომის მონიტორების შეძენა, რომელიც აუცილებელია არქიტექტურულ ნახაზებთან პროგრამებთან მუშაობისთვის. ამასთანავე, განახლებასა და დამატებას საჭიროებს საავეჯე ინვენტარი, რათა ახალ პროგრამაზე სტუდენტების მიღების შემთხვევაში, აუდიტორიები უზრუნველყოფილი იქნას საკმარისი ინფრასტრუქტურით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა დაზუსტება, თუ როგორ მოხდა პროგრამის აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის გადამოწმება.

ექსპერტმა განმარტა, რომ აკადემიური პერსონალი ჩართული იყო სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც წარმატებით ახორციელებენ ინგლისურენოვან სალექციო კურსებს. ამასთან, პროგრამაში ჩართულია პერსონალი, რომელიც ხელმძღვანელობდა ინგლისურენოვან საბაკალავრო ნაშრომებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინსტიტუცია სრულიად

ეთანხმება მოცემულ რეკომენდაციას. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს აქვს მრავალწლიანი გამოცდილება ამ მიმართულებით და ასევე აქვს ინფრასტრუქტურაც, აუცილებლად მოხდება მისი განახლება და ჩანაცვლება.
პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა პროგრამასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კონცენტრაცია გაკეთდა ტექნიკურ საგნებზე, რომ მოცემული ფართოდ ყოფილიყო წარმოდგენილი, ხოლო ამ საგნების კრედიტების მოცულობა აღწევს 34 კრედიტს. ამავე დროს, გათვალისწინებული იქნა მსოფლიოში არსებული გლობალური გამოწვევები, რაც შეეხება მდგრად განვითარებას, შესაბამისად განისაზღვრა საკითხზე ორიენტირებული სასწავლო კურსები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
საბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის სასწავლო გეგმაში არის საგანი ,,გარემოს დაცვა და ეკოლოგია მე-2 ნაწილი", თუმცა არსად არის მოცემული პირველი ნაწილი. შესაბამისად, საბჭოს წევრმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ მოცემული საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს არ არის სასწავლო კურსის მე-2 ნაწილი, უბრალოდ გამოყოფილია სხვა სასწავლო კურსებისგან, რომლებიც ისწავლება სხვა ფაკულტეტებზე.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ აღნიშნა ,,არქიტექტურული პროექტის მენეჯმენტის" სასწავლო კურსი და განმარტა, რომ სასწავლო კურსის სწავლის შედეგში მოცემულია, რომ კურსის დასრულების შემდგომ სტუდენტი ახდენს არქიტექტურული პროექტის დაგეგმარებასა და განხორციელებას, პროცესებისა და პროცედურების სტრუქტურირებას. შეფასებაში კი განსაზღვრულია ტესტები და თეორიული საკითხები. არსად არ არის განსაზღვრული პროექტის პრეზენტაცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროექტის პრეზენტაცია ამ შემთხვევაში, კურსის ავტორმა არ ჩათვალა საჭიროდ, ვინაიდან კურსის წარმართვისას გამოიყენება სტუდენტების მიერ უკვე განხორციელებული და შექმნილი პროექტები.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:24
დასრულების დრო: 15:38
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "არქიტექტურის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "არქიტექტურის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

3. მესამე საკითხი: შპს ალტე უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი Tourism
	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2022 წლის 25 მაისის N 545072 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ტურიზმის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება 1015 Travel, Tourism and Leisure
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. N 77, თბილისი, სტუ-ს სასწავლო კორპუსი N 1 და N 8; 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ თითქმის ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა. რეკომენდაციების შესრულების მიზნით მოხდა პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ისა და უნივერსიტეტის/შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ რეკომენდაციების/რჩევების გაანალიზება და მათი შესრულების მოსალოდნელი შედეგების შეფასება პროგრამის შემდგომი განვითარების პერსპექტივიდან. შემდგომ, განსახორციელებელი ცვლილებების შინაარსის გათვალისწინებით, განისაზღვრა პირთა წრე, კერძოდ პროგრამის კომიტეტი, სკოლის ადმინისტრაცია, ადამიანური კაპიტალის მართვის სამსახური, ხარისხის მართვისა და შესაბამისობის, ასევე სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების დეპარტამენტები, რომელიც უშუალოდ უზრუნველყოფდა შესრულებას.
რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგად გაუმჯობესდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. დაიხვეწა პროგრამის სწავლის მიზნები და შესაბამისობაში მოვიდა სწავლის შედეგებთან. დაიხვეწა პროგრამის სტრუქტურა ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების მოდულში ახალი სასწავლო კურსების დამატებით. ზოგიერთ სასწავლო კურსში განახლდა სავალდებულო ლიტერატურა. გაუმჯობესდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. დაწესებულებამ გააძლიერა სტუდენტების ჩართულობა კონფერენციებსა და ინტერნაციონალიზაციის პროცესში.
მიუხედავად ამისა, ექსპერტი მიიჩნევს, რომ სასწავლო კურსი ,,საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია“ საჭიროებს სავალდებულო ლიტერატურის განახლებას, რაც რეკომენდაციაშია მოცემული და არ არის გათვალისწინებული. ამასთან,მკაფიოდ უნდა განისაზღვროს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების თანმიმდევრობა (შესავალი, ლიტერატურის ანალიზი, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები, დასკვნა და რეკომენდაცია), რომლის გათვალისწინება აუცილებელია საბაკალავრო ნაშრომის მომზადების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს კონსტრუქციული შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება ეთანხმება და იზიარებს დასკვნაში არსებულ გარემოებებს.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსში არ არის განსაზღვრული, საბაკალავრო სწავლების დებულებაში სრულიად არის მოცემული ინფორმაცია საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით. თუმცა აუცილებლად იქნება აღნიშნული ინფორმაცია გადმოტანილი სილაბუსშიც. რაც შეეხება ეთნოლოგიას, მან აღნიშნა, რომ თემატიკასთან მუშაობა პრაქტიკულად უკვე დასრულდა, შესაბამისად, მოხდებოდა აუცილებელი ცვლილებების გატარება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:46
დასრულების დრო: 15:58

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ალტე უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესასრულებლად დამატებითი დროის განსაზღვრა და 60 დღიანი ვადაში რეკომენდაციების შესრულების გადამოწმებისათვის მონიტორინგის განხორციელების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის შესაბამისად, შპს ალტე უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში არ იქნა მიღებული ცნობად. საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით 60 დღის შემდეგ განეხორციელებინა მონიტორინგი ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესასრულების შეფასების მიზნით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 2023 წლის 28 ივლისის 16:00 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი